სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა რეგისტრაცია:

რეგისტრაციის გავლიდან **ოთხ სამუშაო დღის ვადაში** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს ევალება, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულება(ებ)ში სადაც უნდა სწავლა, წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) **ექსპერტთა გუნდის დასკვნა**, რომლითაც დასტურდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის სპეციალური/დამატებითი საგანმანათლებლო საჭიროება, დამოწმებული ექსპერტთა გუნდის მინიმუმ სამი წევრის ხელმოწერით;

ბ) **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში/სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, დამოწმებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;

გ) **სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:**
გ.ა) აუდიოგრამა (სმენის დარღვევის შემთხვევაში);
გ.ბ) ოფთალმოლოგის მიერ გაცემული ცნობა (მხედველობის დარღვევის შემთხვევაში);

დ) **შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, ქცევითი და ემოციური აშლილობისას;**

ე) **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

- შესაბამისად, დარეგისტრირებიდან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტმა მაქსიმუმ ოთხ დღეში იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დაწესებულებებში სადაც სწავლა სურს, უნდა სრულად წარმოადგინოს ყველა საჭირო ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია.

<u>რეგისტრაციის დასრულების შემდგომი ეტაპი:</u>

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტად დარეგისტრირებული პირი უნდა დაელოდოს ექსპერტთა გუნდის წევრის ზარს, შეფასების დროის და ადგილის შეთანხმებისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი მხრიდან საკონტაქტო ინფორმაციის სწორად მითითება.

- იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა გუნდის დასკვნის საფუძველზე, პირს დაუდასტურდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ის ხდება უფლებამოსილი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვის გზით.
  იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების უარყოფა, პირს ეძლევა შესაძლებლობა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხოს პროფესიული ტესტირების გზით.
  ორივე შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია, ექსპერტთა გუნდის დასკვნა, წარადგინოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებში.

დამატებითი ინფორმაცია:
რეგისტრატორებმა სსსმ პირთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით არსებული კითხვების შემთხვევაში უნდა მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური პროფესიული განათლების პროექტს.
საკონტაქტო ინფორმაცია:
ოფისი: 0322 3189 40 (შიდა 1431)
მობილური: 555 16 33 34 ბესიკ ცხოვრებაშვილი
574 50 23 50 ნინო ტაბიძე